ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2/36

ქ. თბილისი - 28 – თებერვალი, 2012 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, მდებარე ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ, №12 (შემდგომში "შემსყიდველი"), სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, თამარ გოდერძიშვილის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შპს "რეგული", მდებარე ქ. თბილისი, გაგარინის ქ.№1 (შემდგომში "მიმწოდებელი"), მისი დირექტორის დავით არსენიშვილის სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამარტივებული შესყიდვის გზით, ამ ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ, მიმწოდებელი ვალდებულია 2012 წლის 3 მარტამდე შემსყიდველს მიაწოდოს ბროშურა "მესტია", ბროშურა "ახტალა", ბროშურა "ქობულეთი", ბროშურა "წყალტუბო", მოსაწვევი ფლაერი, უძრავი ქონების ტრიპლეტი, ბროშურა "10 reason", ბროშურა "ანაკლია",– თითოეული დასახელების ბროშურა, ტრიპლეტი, ფლაერი 300-300 (სამასი) ცალის ოდენობით, უძრავი ქონების ტრიპლეტი 900 (ცხრაასი) ცალის ოდენობით, ბროშურა ზმაბარიანი 250 ცალი - 6-9 მარტს ქალაქ კანში დაგეგმილი უძრავი ქონების გამოფენაზე წარსადგენად.

1.2. ხელშეკრულების საგნის CPV კოდია: 22150000 (ბროშურები)

1.3. ხელშეკრულების გამარტივებული წესით წარმოების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის კანონის 10[1] მუხლის 3-ე პუნქტის დ ქვეპუნქტი და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის განკარგულება # 29

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 45 750 (ორმოცდახუთი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით). თითოეულის ღირებულებით ბროშურა "მესტია" 300 ცალი ჯამური ღირებულებით 3600, ბროშურა "ახტალა" 300 ცალი – ჯამური ღირებულებით – 6300 ლარი, ბროშურა "ქობულეთი" 300 ცალი – ჯამური ღირებულებით 2700 ლარი, ბროშურა "წყალტუბო" 300 ცალი – ჯამური ღირებულებით 4500 ლარი, მოსაწვვეი ფლაერი 300 ცალი – ჯამური ღირებულებით 250 ლარი, უძრავი ქონების ტრიპლეტი 300 ცალი – ჯამური ღირებულებით 300 ცალი – ჯამური ღირებულებით 900 ლარი, ბროშურა "10 reason" 300 ცალი – ჯამური ღირებულებით 4500 ლარი, ბროშურა "ანაკლია" 300-300 ცალი ჯამური ღირებულებით 11550 ლარი, უძრავი ქონების ტრიპლეტი 900 ცალი – ჯამური ღირებულებით 2700 ლარი, ბროშურა ზამბარიანი 250 ცალი – ჯამური ღირებულებით 8750 ლარი.

2.2 ანგარიშსწორება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია 2012 წლის 3 მარტამდე შემსყიდველს დაუმზადოს და მიაწოდოს ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული საგნები.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღებას ახორციელებს საქართველოს ერონული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი ან დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მომსახურების გაწევიდან, ანგარიშფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

5.2. სახელმწიფოსთან საგადასახადო და სხვა სახის ანგარიშსწორებას აწარმოებს მიმწოდებელი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.1.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის და ოდენობის საქონელი;

6.1.2. განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდოს შემსყიდველის ინტერესებს;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიიღოს მიწოდებული საქონელი, თუ მიწოდებული საქონელი შეესაბამება შეთანხმებულ ოდენობას და ხარისხს;

6.2.2. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის საფასური.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.1% ოდენობით. თავის მხრივ ანგარიშსწორების ვადების დარღვევისას, შემსყიდველი ყოველ გადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, უხდის მიმწოდებელს ასანაზღაურებელი თანხის 0.1%-ს.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარის (მხარეთა) მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა არ გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას, თუ აღნიშნული დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების შედეგად.

8.2. ფორს-მაჟორულია გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ მხარეთათვის გადაულახავ, მათგან დამოუკიდებელ პირობებს (არ არიან გამოწვეული მხარეთა განზრახ ან გაუფრთხილებელი, არასწორი მოქმედებების შედეგად) და რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ლარის კურსის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღეს არსებულ ევროს კურსთან შედარებით 5%-ზე მეტი ცვლილების შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან გადასინჯონ მოწოდებული საქონელის რაოდენობა და ფასები, ამავდროულად ხელშეკრულების საერთო ფასი არ უნდა შეიცვალოს 10%-ზე მეტად.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 28 თებერვლიდან - 2012 წლის 31 მარტამდე.

10.2. ხელშეკრულება შესრულებულია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო 1 ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

11. დავის გადაწყვეტის წესი

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

11.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაუჭრელობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

11.3. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

12. ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლი, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული შემოწმება.

12.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების

შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის ან ურთიერთშეთანხმების აქტის გზით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

14.1. შემსყიდველს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

14.1.1. თუ მიწმოდებელი სისტემატურად არღვევს ან არსებითად დაარღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

14.1.2. შემსყიდველისათვის საქონლის მიღებამდე ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.1.3. შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მატერიალური ან სხვა მდგომარეობის საგრძნობლად გაუარესების გამო საფრთხე ექმნება მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების შესრულებას;

14.1.4. თუ წარმოიშვა ხელშეკრულების 8-ე პუნქტით გათვალისწინებული ფორს მაჟორული მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების დროულ შესრულებას;

14.1.5. თუ წარმოიშვა ხელშეკრულების 14-ე პუნქტით გათვალისწინებული მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების დროულ შესრულებას;

14.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

14.3. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 50%-ს, ორივე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

14.4. ამ ხელშეკრულების 14.1.2., 14.1.3, 14.1.4. და 14.1.5. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსყიდველს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ-ს „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	შპს " რეგული " დირექტორი:
_____	_____
/თამარ გოდერძიშვილი/	/ დავით არსენიშვილი /
ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12	თბილისი, გაგარინის ქ. №1.
ეროვნული ბანკი	სს თიბისი ბანკი საბურთალოს ფილიალი
ს/კ №204990082	ს/კ 404911878
ა/ა №200122900	ბ.კ. TBCBGE22
კოდი 220101222	ა/ა # GE87TB7232436080100003